ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. აპრილის 25. № 3 ტფილისი

შინაარსი

ფინანსები

49. სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

F 8153

ფინანსები

49. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მაისის 26-ის დადგენილებით დამტკიცებული სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. მე-10—11 №-ი, მუხ. 86), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. იანვრის 8.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ ახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 9-ის დადგენილებით დამტკიცებულ ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697), თვითეულ სასოფლო საბჭოში შედგენილ და აღსრულებულ უნდა იქნეს დამოუკიდებელი სასოფლო ბიუჯეტი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული სამეურნეო გეგმის შესაბამისად.

2. ადგილობრივი სახსრის ყოველგვარი ხარჯვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო კრედიტი გათვალისწინებულია წლიური ბიუჯეტით ან დამატებითი ხარჯთაღრიცხვით.

3. როგორც საშემოსავლო წყაროები, ისე ხარჯის ობიექტები უნდა მიეკუთვნოს სასოფლო ბიუჯეტს ყველა იმ საჭიროების ანგარიშში მიღების საფუძველზე, რასაც სასოფლო საბჭოს თუ მისი ცალკეული ნაწილისათვის აქვს განსაკუთრებული ან უპირატესი მნიშვნელობა.

4. საშემოსავლო წყაროები და ხარჯის ობიექტები სხვადასხვა საფეხურის ბიუჯეტებს შორის განაწილდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე; სახალხო კომისართა საბჭო განსაზღვრავს სასოფლო ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ხარჯების სავალდებულო მინიმალურ ნუსხას. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გააფართოონ ეს ნუსხა ხარჯებისა და თანაც შესაბამისად უნდა გაადიდონ საშემოსავლო წყაროებიც.

5. სასოფლო ბიუჯეტს უნდა მიეკუთვნოს შემდეგი ხარჯები დაწესებულებათა და საწარმოთა შესანახად და იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც მარტოოდენ ან უპირატესად მომსახურეობას უწევს სასოფლო საბჭოს ტერიტორიას:

ა) სასოფლო საბჭოს შენახვა;

ბ) კომუნალური ქონებისა და საწარმოთა შენახვა;

გ) სოფლის კეთილმოწყობა და ხანძრის საწინააღმდეგო დაცვა;

დ) სოფლის მეურნეობის ხაზით დაწესებულებებისა და საწარმოებების, ბაღებისა, ბოსტნებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო სახელოსნოებისა, გამქირავებელი და საგრილობელი პუნქტებისა, საცდელი მინდვრებისა და სხვა მისთ. მოწყობა, გაწყობა და შენახვა;

ე) საადგილმამულო და სხვა ქონების ექსპლოატაცია და დაცვა;

ვ) სასოფლო მნიშვნელობის მქონე ტყეების დაცვა და მოწყობა;

ზ) სასოფლო საბჭოს და სამიწათმოქმედო საზოგადოებების გამგებლობაში მყოფ სამრეწველო და სხვა საწარმოთა ექსპლოატაცია;

თ) სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სათანადო საწარმოთა დაფინანსება;

ი) სასოფლო მნიშვნელობის მქონე გზებისა, ხიდებისა, მდინარეზე გადასა-

სვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა, აგრეთვე სასოფლო კავშირგაბმულობ
მოწყობა და შენახვა;

კ) სახალხო განათლების ხაზით დაწესებულებებისა, სკოლებისა, ბიბლი
თეკებისა, ქოხ-სამკითხველოებისა, კლუბებისა, წერა-კითხვის უცოდინარობის ს
ლიკვიდაციო პუნქტებისა, სკოლამდე აღზრდისა და სკოლა-გარეშე მუშაობ
დაწესებულებების მოწყობა, გაწყობა და შენახვა;

ლ) საექიმო და საფერშლო პუნქტებისა, სამეანო დახმარებისა, საბავშ
ბაგებისა და კონსულტაციების მოწყობა, გაწყობა და შენახვა; აგრეთვე სასან
ტარო-საჰიგიენო ღონისძიებანი;

მ) ინვალიდებზე მზრუნველობა და ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯო
სება;

ნ) სესხთა და ამ სესხთა სარგებლის გადახდის ხარჯები;

ო) სასოფლო საბჭოს ბიუჯეტზე მყოფ პირთა სამუშაო ხელფასის ანარ
ხები სოციალური დაზღვევისათვის.

6. სასოფლო ბიუჯეტებისათვის მიკუთვნებული ხარჯების დასაფარა
სასოფლო საბჭოს მიეკუთვნება შემდეგი საშემოსავლო წყაროები:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ყველა სახელმწიფო ქონებისა
საწარმოსი, რაც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზეა და რასაც აქვს ეკონომიკ
მნიშვნელობა მარტოოდენ ან უპირატესად სასოფლო საბჭოს ტერიტორი
თვის;

ბ) მუნიციპალიზებული საცხოვრებელი სახლების და სავაჭრო-სამრეწ
ლო სადგომებისა, რაც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზეა;

გ) კომუნალურ სამრეწველო და სხვა საწარმოთა და ღონისძიებათა;

დ) მიწებისა (სახნავი, მინდორი, ბაღი, ბოსტანი და სხვა მისთ.), საბა
მოედნებისა და სხვა ადგილებისა, რაც გაიცემა ვაჭრობისა, მდინარეზე გ
სვლისა და თევზჭერისათვის; ზოგადგავრცელებული წიაღისეულისა (ქვიშა, თ
ქვა და სხვ.) და სხვა ამგვარი შემოსავალი;

ე) მიწის რენტისა, რაც გადაიხდევინება სასოფლო საბჭოს ტერიტორი

ვ) სასოფლო მნიშვნელობის მქონე ტყეებისა და მათში არაპირდაპირი
რგებლობისა;

ზ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შეგროვილი სარეწაო გადასახადი
100%;

თ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შეგროვილი სასოფლო-სამეურნეი
დასახადის ანარიცხებისა—ისეთი რაოდენობით, რაც განსაზღვრულია საქარ
ლოს სსრ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით;

ი) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადისა—ისეთი რაოდენობით,
საც დაადგენს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო არა ნაკლ
გადასახადით მიღებული საერთო თანხის 25%-ისა;

კ) 100% იმ გამოსაღებისა, რაც შემოდის სასოფლო საბჭოს მიერ ად
სტრირებული და სასოფლო საბჭოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული გზებისა
საგზაო ბეგარაში გაწვეული მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ნაცვლ

ლ) 100% სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შეგროვილი ერთიანი სახელმწიფო ბაჟისა;

მ) 100% საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა, რაც შეიგროვება სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე;

ნ) 100% იმ პირთა გამოსაღებისა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ სასოფლო აღმასრულებლად ყოფნის უფლება;

ო) 100% შენობათა გადასახადისა;

პ) თვითდაბეგვრით მიღებული სახსარი, იმ ნაწილის გარდა, რაც მიიქცევა სასოფელთაშორისო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებათათვის;

ჟ) კულტურული გამოსაღები—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ შემოსული გამოსაღების 20%-ისა;

რ) მასურ სესხთა რეალიზაციით მიღებული თანხების ანარიცხები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ საერთო თანხის 50%-ისა;

ს) ანარიცხები სასოფლო საბჭოს საყოფაცხოვრებო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოსაწყობად და შესანახად კოლექტიური მეურნეობების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ფონდებიდან—ისეთი რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მიღებული და სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებული ამ ფონდების ხარჯვის გეგმით;

ტ) მიზნობრივი სახსარი, რაც კოლექტიური მეურნეობის დადგენილებით გადაიცემა სასოფლო ბიუჯეტში;

უ) 100% ერთპიროვნულ მეურნეთა გადასახადის იმ ნაწილისა, რაც გადაეცემა სასოფლო ბიუჯეტს;

ფ) სესხი, რასაც აიღებს სასოფლო საბჭო ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ მომქმედი კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

7. ყოველი ზედმეტი ფაქტიური შემოსავალი, რაც სასოფლო ბიუჯეტში აღრიცხულ თანხებს აღემატება, შედის სასოფლო ბიუჯეტში, ამა დებულებით შემოსავლის ცალკეული წყაროებისათვის დადგენილი სათანადო წილადობით, და იხარჯება დამატებითი ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

დამატებითი ხარჯთაღრიცხვის შედგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, უკეთუ, საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარწელს აღსრულებული სასოფლო ბიუჯეტის წინასწარი ანგარიშგების ცნობების თანახმად, დამტკიცებულ იქნება, რომ ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის აღსრულება უზრუნველჰყოფს წლიურ სახარჯთაღრიცხვო ვარაუდზე შემოსავლის ნამდვილად გადამეტებას—იმის შემდეგაც-კი, როდესაც დაფარულ იქნება ამა თუ იმ მუხლის დანაკლისი.

დამატებით ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ უნდა იქნეს ბიუჯეტების დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

8. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სასოფლო საბჭოსათვის შემოსავალ-გასავლის დაწესებისა და ადგილობრივი მოწესრიგების ფონდიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარების რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ, სასოფლო საბჭოები ადგენენ სასოფლო ბიუჯეტს წინამდგომარე წლისთვის შემდეგ მოთხოვნათა დაცვით: სასოფლო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ხარჯები შეიტანება მათი მნიშვნელობის უაღრესობის მიხედვით; ის ხარჯი, რასაც პირველრიგობის მნიშვნელობა არა აქვს, შეიტანება ბიუჯეტში მხოლოდ მაშინ, უკეთუ, ყველა პირველი რიგის ხარჯის დაფარვის შემდეგ, დარჩება თავისუფალი ფულადი სახსარი,—ისე, რომ ყველა სახარჯთაღრიცხვო დანიშნულება, ერთობილად აღებული, იფარებოდეს სასოფლო საბჭოსათვის გადაცემული საშემოსავლო წყაროებით.

9. სასოფლო ბიუჯეტში შეტანილი ყოველი, როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო თანხა დასაბუთებულ უნდა იქნეს ახსნა-განმარტებით ან ცნობებით, რაც საფუძვლად დაედვა ამ თანხის ბიუჯეტში შეტანას, და აგრეთვე დაწვრილებითი გამოანგარიშებით, რაც ადასტურებს აღრიცხული თანხების რაოდენობას.

10. შედგენილი და სასოფლო საბჭოს მიერ დადასტურებული სასოფლო ბიუჯეტი წარედგინება, არა უგვიანეს ერთი თვისა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ამ ბიუჯეტს, მასში სათანადო ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შემდეგ, უბრუნებს სასოფლო საბჭოს ათი დღით ადრე საბიუჯეტო წლის დაწყებამდე; ამის შემდეგ ბიუჯეტი მიიღება აღსრულებისათვის. უკეთუ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაუბრუნა აღნიშნულ ვადაზე სასოფლო საბჭოს დამტკიცებული ბეუჯეტი, სასოფლო ბიუჯეტი მიიღება აღსრულებისათვის უცვლელად.

11. დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში სასოფლო საფინანსო მომუშავე შეადგენს ბიუჯეტის აღსრულების საკვარტალო გეგმებს შემოსავლის ვადებისა და ხარჯების წარმოების სეზონობის და ვადიანობის შესაბამისად. ამ გეგმებს ამტკიცებს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი სასოფლო საბჭოს აქტივის მონაწილეობით. ხარჯების ფარგლებში, კვარტალური საკასო გეგმების მიხედვით, შეიდგინება თვიური საგასავლო განრიგებანი, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს იმავე წესით.

12. სასოფლო ბიუჯეტის კრედიტების განმკარგულებელია სათანადო სასოფლო საბჭო, ხოლო სასოფლო საბჭოს დადგენილებით, სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათ შეიძლება მიენიჭოს კრედიტების მესამეხარისხოვან განმკარგულებელთა უფლება.

13. გახსნილი კრედიტები გამოიყენება ასიგნობებით, კრედიტის საგნის დანიშნულებისამებრ. ასიგნობის გაცემა განმკარგულებლის მიერ და განაღდება სათანადო კრედიტის უქონლობის შემთხვევაში, ან ისეთი თანხით გაცემა და განაღდება, რაც გახსნილ კრედიტს აღემატება, აგრეთვე ისეთი მიზნისათვის გაცემა და განაღდება, რაც უწყებულ სახარჯთაღრიცხვო დანაყოფს არ შეესაბამება, აკრძალულია. ასიგნობით მუღებული თანხა შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ბიუჯეტში გათვალისწინებულ საჭიროებაზე იმ სახარჯთაღრიცხვო დანაყოფის მიხედვით, რომლის თანახმადაც გამოწერილია ასიგნობა.

14. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება კრედიტების გადატანა მოტანა ერთისა და იმავე კარის ფარგლებში, თვითეული ცალკე შემთხვ თვის სასოფლო საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

15. ერთი კარიდან სხვა კარში კრედიტის გადატანა შეიძლება მხო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვით.

სამუშაო ხელფასისა, საწარვლინებო ხარჯისა და ადგილობრივ დაწე ლებათა საადმინისტრაციო ხარჯების მუხლში კრედიტის სხვა მუხლებიდან დატანა კატეგორიულად აკრძალულია; აგრეთვე აკრძალულია სამუშაო ხ სის მუხლიდან რომელსამე სხვა მუხლში კრედიტის გადატანა, ისეთი შემთ გარდა, როდესაც გამორკვეულია სამუშაო ხელფასის ეკონომია.

16. სასოფლო ბიუჯეტებისათვის საკასო მომსახურეობის გაწევა ეკის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათ, ხოლო იმ ადგილას, სადაც ასეთი სებულება არ არის,—სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროს.

ყველა ფულადი თანხა, რაც სასოფლო ბიუჯეტის შემოსავალს შეად აგრეთვე სხვა რამ თანხა, რაც გაიგზავნება ან შეიტანება სასოფლო ს განკარგულებაში, შედის მის მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის ი წესებულებაში ან იმ სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში, რომ დაკისრებული აქვს სასოფლო ბიუჯეტისათვის საკასო მომსახურეობის გაწ

შენიშვნა. უკეთუ სასოფლო საბჭოს სამყოფელ ადგილას სახელ შრომითი შემნახველი სალარო არ არის, სასოფლო ბიუჯეტის საკას მსახურეობას ანხორციელებს სათანადო სასოფლო საბჭო.

17. ყველა ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, არასაგადას შემოსავლის თანხა და ყოველგვარი სხვა თანხა, რაც სასოფლო ბიუჯეტ მოსავალში უნდა ჩაირიცხოს, არ შეიძლება დაიხარჯოს თუნდაც ბიუჯეტ თვალისწინებულ საჭიროებაზე, არამედ იგი მთლად შეტანილ უნდა იქნეს ს მწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებაში ან სათანადო შემნახველ სალა საიდანაც სასოფლო ბიუჯეტზე მყოფი ყველა ორგანო, დაწესებულება წარმო მიიღებს სახსარს თავისი საჭიროებათათვის, ბიუჯეტით გახსნილ დიტების ფარგლებში, ამა დადგენილების მე-13 მუხლში აღნიშნული წესის

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 5. პ/მ რედაქტორი ე. გამ

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 3/8 ბეჭდვ ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. გადაეცა სტამბას 14/II. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV. ტირაჟი 2.20

მთავლიტი ს. № 10. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. №